№ 212 ოქტომბერი 13, სამშაბათი — 1887 — ოქტომბერი 13, სამშაბათი № 212

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზემოთის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
ნაკვესი
ანუ
მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.
ფასი ერთი აბაზი.
ტფილისს გარეშე ეს წიგნი ისყიდება
გორში—ს. მგალობლიშვილთან. ქუთაისს—ვ. ჭილაძის მაღაზიაში. ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში. ბათუმში—მ. ნათაძესთან. ახალციხეში—ბ-ნ ალექსი სალარიძესთან, ძველს ქალაქში.

ტფილისი, 12 ოქტომბერი

ევროპა საოცარი ქვეყანაა. იქ დიდი განათლებაც არის, დიდად აყვავებული და გაძლიერებული მეცნიერებაც, მეტად მშვენიერი ხელოვნებაც, სასწაულთ-მომქმედი ხელოსნობაც, ერთის სიტყვით, ყველაფერი რაც ადამიანის, კაცობრიობის სახელსა და დიდებას შეადგენს. თუ კაცობრიობას თავ-მოსაწონი რამე აქვს, თითქმის მარტო ევროპის მადლობელი უნდა იყოს, რადგანაც დღეს ყველაფერს და ყველას წინ მიუძღვის ყოველ საქმეში მრავალ გვარად ძლევამოსილი და გამარჯვებული ევროპა.

ამ ძლიერს და განდიდებულს ყოფა-ცხოვრებას რომ უყურებს კაცი, ამ განათლებულს მსვლელობას, ამ ყოვლად შემძლებელს მეცნიერებას, ამ აუარებელს სიმდიდრეს,—ჰგონია, რომ თუ ქვეყანაზედ სიკეთეა სადმე, ამ ევროპიდამ უნდა გამოვიდესო და ყველა დიდი და პატარა, ღონიერი და უღონო, ღარიბი და მდიდარი, მაღალი და მდაბალი—ყველა გაუჭირვებლად სულს უნდა იბრუნებდეს ევროპის წყალობითა და მეოხებითაო.

ხომ ესე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ; ესე არ არის. ყოველ ამ სიკეთესთან ევროპას ორი დიდი და ჯერ ხანად უძლეველი ჭირი სჭირს: შური და ხარბობა. კაცი იტყვის, მაშ რა განდიდებული და სახელოვანია იგი, ვინც მაგისთანა უღირსს და სამარცხვინო გრძნობას, მაგისთანა სულდაბლობის და სულ-მოკლეობის უტყუარს ნიშანს გულში ინახავს და გულში ატარებსო? მაშ რა განათლებაა ის, რომ შური და ხარბობაც ვერ უძლევიაო? ჩვენც ეგ გვიკვირს, ხოლო საქმე-კი ესეა.

ევროპას სხვა დანარჩენი ქვეყნები უპატრონონი ჰგონია, ანუ უკედ ვსთქვათ, ისე აქვს მიჩნეული თითქო სხვა ყველა ერთად და თვითეული ცალკე მარტო იმისათვის გაუჩენია ღმერთს, რომ ევროპამა ჰღრღნას, ევროპამა ჰხრას. თქმა არ უნდა, როცა ევროპა საღრღნელად და სახრავად გაიწევს საითმე, ფერ-უმარილს კაცთ-მოყვარეობისას და გულმტკივნეულობისას წაიგლესს ხოლმე შურისა და ხარბობის დასაფარავად და ამბობს: განადირებული ერია, ნადირთ-საცხოვრებელი ქვეყანაა; ცოდვაა, არ მივეშველოთ, ცივილიზაციის სხივი არ მოვფინოთ, ნადირად ქცეული კაცი ისევ კაცად არ ვაქციოთ, გავერანებული ქვეყანა არ ავაყვავოთ მისთა მკვიდრთა საბედნიეროდ. ამას ამბობს ხოლმე ევროპა და გულში-კი თვითონვე დასცინის თავის თავს ამ მოკლე-ფეხებიან ტყუილისათვის.

ამ ფერ-უმარილით წაგლესილი შური და ხარბობა ევროპისა განუზომელია, სამზღვარ-დაუდებელია. საკმაოა სადმე რაიმე მიზეზი მიეცეს და ხარბობა ევროპისა სვავსავით პირს დააღებს ხოლმე და იმას-კი აღარა ჰკითხულობს: რას ვერჩი? რა მინდა? ჩავარდა სადმე ქვემაგებად აფრიკაში, აზიაში, თუ სადმე სხვაგან რომელიმე სულთანი, ან მფლობელი, ევროპა მაშინვე ანდერძს აუგებს ხოლმე და ხელს იწვდის, მემკვიდრეობა ჩემიაო. საიდამ, როგორ, რისთვის? ამას აღარავინ ჰკითხულობს. ვისაც ხერხი აქვს, დიდი და პატარა ყველანი მემკვიდრეობას ჰჩემობენ, თითქო მართლა ასეა განგებული, ასეა გამჩენელისგანვე წესად დადებული.

აი ეხლაც: აფრიკაში, გიბრალტარის პირდაპირ, ისპანიის სამხრეთის მხრით, ალჟირის დასავლეთით ერთი ქვეყანაა, რომელსაც 10 მილლიონამდე მკვიდრი ჰყავს და თავისთვინა სცხოვრობს. ამ ქვეყანას მაროკკოს ეძახიან. ამისი სულთანი მულლეი-ჰასანი ავად გახდა და ხმა გავარდა, იმედი არ არის მორჩენისაო. ისპანია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და თითქმის გერმანიაც ფეხზედ წამოდგა, არამე გამოვგლიჯო რამე ამ ქვეყანას საღრღნელად, არა მეო. რათა, ბატონებო? მულეი-ჰასანი ჯერ არ გარდაცვლილა, ადრე და მალე რად იყოფთ მის ავლა-დიდებასა? ეს ერთი. მეორე, მულეი-ჰასანს ღვიძლი შვილი ჰყავს; მამის სამფლობელო შვილისათვის უფრო უპრიანი არ არის? თქვენ ვინა ხართ და საიდამ მოდიხართ? მესამე: თვითონ იქაურთ მკვიდრთა აღარასა ჰკითხავთ? იქნება თქვენი ძალად-ცხოვნება არა ჰსურს და თავის საკუთარს ჭირს ჰრჩეობს, ვიდრე თქვენგან მიტანილს ლხენასა. რას ერჩით საწყალს ერს, თავისთვის ავად თუ კარგად მცხოვრებელსა!

განათლება გვინდა შემოგიტანოთო. არ გვინდაო ეგ თქვენი განათლება, არ დაგვეხსნებითო, იძახიან. რა განათლებაა ის განათლება, რომ ხარბობა, ეგ თვისება და უნარი მხეცისა, ვერ დაუმორჩილებია და ყველაფერი მაგისათვის უნაცვალებია სამართალიც, კაცთმოყვარეობაც და მარტო ძალმომრეობას, თვით-ნებობას, ძარცვა-გლეჯას, მტაცებლობას და ხვეჭას-ღა აფარფაშებს და ახეირებს ამ უმადურ ქვეყანაზედაო. რა განათლებაა ის განათლება, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ ითლიდეს, სულ მე და მარტო მეო. არამც თუ ის, რაც მე მეკუთვნის, არამედ ისიც, რაც სხვის კუთვნილიაო!

თვითეულს სახელმწიფოს, რომელნიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, პირი დაუღია ამ მაროკკოსათვის და ნერწყვი მოსდის მეტის-მეტის მსუნაგობისაგან. შესაძლოა, რომ ეს უპატრონოდ მიჩნეული ქვეყანა გაწეწ-გამოწეწონ, გაგლეჯ-გამოგლიჯონ, მაგრამ მაროკკოს ნუგეშად ისიც შესაძლებელია,—თავი წამოჰყოს ერთმანერთის შურმაც ამ სახელმწიფოთა შორის. შური, ხარბობასთან ხელი-ხელ გადაბმული, ხომ არც თვითონა სჭამს, არც სხვას აჭმევს. ამაში დიდი ნუგეშია მაროკკოსათვის და ადვილად საფიქრებელია, რომ მაროკკო თავის საკუთარის ბედის ანაბარად დარჩება თავის საბედნიეროდ, თუმცა მადა ყველას გამგელებული აქვს ამ მსუქანის ლუკმის გადასაყლაპავად.

## ახალი ამბავი

*** სოფ. ხელთუბანში თუმანიანთ მამულში დაიწყეს სკოლის აშენება და სთხოვენ ყველა მსურველებს და მეტადრე ადგილობრივ მემამულეებს შემწეობას სასკოლო შენობის დასაბოლოვებლად. ამ სკოლას „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ განაგებს. სამი წელიწადია

## ფელეტონი

### სვანური ლეგენდები*)

IX

ამირანი.

ერთს უდაბურს ტყეში, რომლის ხის წვეროები ცასა სწვდებოდნენ, ამართული იყო წვრილი, მაგრამ ძლიერ მაღალი კლდე. ამ ტყის მახლობლად სცხოვრობდა ერთი მონადირე, რომელიც დრო-გამოშვებით ნადირობდა ხოლმე ამ ტყეში. ერთს დღეს, ბევრი სიარულის შემდეგ, მონადირე მივიდა ამ კლდის ძირს. კლდიდგან რაღაც ხმა მოესმა, რომელიც ქალის კივილსა ჰგავდა. ამ კივილმა მონადირის ყურადღება მიიქცია, ახედა კლდეს და ისეთი მაღალი აღმოჩნდა, რომ თვალი ვერა სწვდებოდა. ასვლა მოინდომა კლდის წვერზე, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. მონადირე მაშინვე შინ დაბრუნდა. შინ ჰყავდა ცოლი ძლიერ ანჩხლი და ამასთანავე კოჭლი. ცოლს უთხრა ხვალისთვინ საგზალი გამოეცხო, და თვითონ მჭედელთან გასწია, რომელსაც ერთი გუდა სატეხი და ერთი რკინის ხვედი შეუკვეთა. დილისათვის ცოლმა საგზალი მოამზადა, მჭედელმა სატეხი და ხვედი[1]). ადგა მონადირე და კლდისაკენ წავიდა. მივიდა ძირში. მოდგა და დაიწყო სატეხის მიჭედვა კლდეზე; რამდენ სატეხსაც მიაჭედდა, იმდენს საფეხურს იკეთებდა და ზევით და ზევით იწევდა. როდესაც ერთი გუდა სატეხიც გამოელია და ხვედიც გაუცვდა,—კლდის თავზე აალწია. კლდის თავზე კარის მინაგვარი შესავალი ნახა; შევიდა, შიგნით გამოქვაბული იყო და ამ გამოქვაბულში დალი[2]) იწვა. დალი გასაოცარის სილამაზისა იყო, ოქროს ნაწნავები ჰქონდა. შეხედეს თუ არა დალმა და მონადირემ[3]) ერთმანერთს, მაშინვე ერთმანერთი შეუყვარდათ; გადაეხვიენენ ერთმანერთს და რამდენიმე ხანი უგრძნობლად იყვნენ. ამ ღამეს მონადირე აქ დარჩა, დალთან დაწვა; თუმცა დალი სიტყვით ერთად დაწოლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ სიყვარულმა სძლია და ვერაფერი გააწყო. მეორე დილას დალმა მონადირეს უთხრა დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ მონადირე არ დათანხმდა. მეორე ღამესაც ერთად იყვნენ. ახლა-კი დალმა უფრო მკაცრად ურჩია მონადირეს სახლში წასვლა:—წადი შინ, ეუბნებოდა დალი—თორემ შენი ცოლი „მეცარია“ (გულთმეცარი), იგი ყოველს საღამოს მიჩვეულია შენს სახლში დაბრუნებას; რომ აღარ მიუხვალ ამდენ ხანს, იფიქრებს რამეს, გამოჰყვება შენს კვალს, მოვა და რაიმე ხიფათს გადაგვკიდებს.—„შენც არ მომიკვდე, მიუგო მონადირემ,—ჩემი ცოლი კოჭლია, სახლში ძლივს დაფორთხავს და აქ რა მოიყვანსო“. ამ ღამესაც მონადირე დალთან დარჩა.

მონადირის ცოლს მართლა უკვირდა, რომ მისი ქმარი ეს მესამე დღეა, სახლში არ დაბრუნებულა, ორი ღამე მოიცადა, მესამე დღისათვის დაიმზადა საგზალი, გამოუდგა ქმრის კვალსა, რომელმაც კლდის ძირში მიიყვანა; აჰყვა კლდეს, თავზე ავიდა და შევიდა იმ გამოქვაბულში, სადაც მონადირე და დალი ერთად იწვნენ და ეძინათ. მონადირის ცოლმა დალის ოქროს მაკრატელი მონახა, დალს ოქროს ნაწნავები წააჭრა, ნაწნავები და მაკრატელი თან დაიკავა და დაბრუნდა სახლში. მეორე დილას მონადირესა და დალს გამოეღვიძათ. დალმა ასწია თავს, მჩალტეთ მოეჩვენა, მოისვა ხელი,—ნაწნავები არა აქვს, ადგა უცებ მაკრატელის სანახავად,—არსად იყო. შეწუხდა, მიუბრუნდა მონადირეს და უთხრა: ჩემი ცოდვა გქონდეს, ხომ გითხარი, რომ შენი ცოლი ამას გვიზამდა; ეხლა ჩემი სიცოცხლე აღარა ღირს, აილე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე, რადგანაც მე შენს ხელში დავეორსულდი და გამოიღე შვილი. ვაჟი თუ აღმოჩნდეს ჩემი შვილი--სახელად ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა ის დაარქვი; ჩემი შვილი „ჭაბუკი“ (გმირი) გამოვა; მას რომ ჩემს მუცელში დასცლოდა დრომდე, ისეთი იქნებოდა, რომ თვით ღმერთს შეებმებოდა, ეხლა-კი ნაკლები იქმნება; შენ მაინც აასრულე, რაც მე დაგიბარო. როცა ჩემ მუცლიდგან გამოიღო შვილი, სამი თთვე დიაკეულის ფაშვში შეინახე, შემდეგ სამი თთვე კიდევ კუროს ფაშვში, რომ რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს; შემდეგ აკვანში ჩააწვინე, აკვნიანად წაიღე და იამანის (კაცის სახელია) წყაროზე დადგი; იქ გამოივლის მისი მომნათლავი და მონათვლის შემდეგ ის ეტყვის ყველაფერს, რაც მისთვის საჭირო იქნება. მონადირე შეწუხდა, გაჭრაზე უარი სთქვა, მაგრამ დალი არ მოეშვა, და ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო; ხელების კანკალით გაუჭრა დალს მუცელი, რომლიდგანაც გამოვარდა მზის მსგავსი ვაჟი. დალის დაბარებული ყველა აასრულა, მიიტანა აკვნით იამანის წყაროზე და იქ დადგა, თვითონ-კი სახლში დაბრუნდა. იამანის წყაროზე გამვლელ-გამომვლელი მოდიოდა, ხედავდნენ აკვანს, რომელშიაც ყმაწვილი იწვა, და ეკითხებოდნენ:—ვინ არის შენი დედ-მამა ან შენი მომნათლავიო.—დედ-მამა არ ვიცი ვინ არის, მომნათლავი-კი ჩემი ბატონი ანგელოზიაო[4]), უპასუხებდა ყმაწვილი. ამ დროს ჩამოიარა ანგელოზმა ჰკითხა ყმაწვილს ისავე, რასაცა სხვები ეკითხებოდენ. ყმაწვილმა იგივე პასუხი გასცა ანგელოზსა, რომელმაც

*) იხ. „ივერია“ № 51,

[1]) რაჭაში ხვედს კვეჟოს ეძახიან, სვანურად „უვამა“ ჰქვიან.

[2]) ვინ არის „დალ“-ი, ამაზე ნახე ჩემი წერილი: „ივერია“ 1886 წ. №.

[3]) მონადირეს სახელად „დარჯელანი“ ერქვა.

[4]) მუპრისდე მიშგვილი, მიშგვი ფუსნ ქრისდე (სვანურად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც იგი იმყოფება ნათხოვარს სახლში, რომელიც იმოდენად ძველია, რომ სადგომად ვერ გამოდგება. სკოლაში ორმოც-და-ათი მოსწავლეა—ქალი და ვაჟი. ქალების ხელთ-საქმეები წარუდგინეს ამ ცოტას ხანში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ეს საზოგადოება ამ ხელთ-საქმეებს მომავალ ლოტარიაში ჩააგდებს. შემწეობის აღმოჩენის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ხელთუბნის სკოლის მზრუნველს, ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილისას (ბარიატინსკის ქუჩა, № 6), რომელიც დიდის მადლობით მიიღებს ყოველს შესაწირავს.

*** კვირას, 11 ოქტომბერს, 12 საათზედ, გაიხსნა დედათა საკვირაო სკოლა. სკოლაში მისაღებად გამოცხადდა სულ 47 ქალი. ამათში 17 ქართველი ქალია, 21—რუსისა, 8 სომეხი და 1 ებრაელი.

ქართულს განყოფილებაში ჩაეწერნენ 5 ქართველი და 10 რუსი; სომხურში—8 სომეხი, 3 რუსი და 1 ქართველი; რუსულში—8 რუსი, 11 ქართველი და 1 ებრაელი.

სწავლა დაიწყება შემდეგ კვირას, 18 ღვინობისთვეს, 12 საათიდამ.

უეჭველია, მოსწავლეთა რიცხვი თან-და-თან იმატებს, რადგან პირველადვე ამდენი მსურველი აღმოჩნდა. ჩვენში ეს ფრიად საჭირო საქმე ეხლა იწყობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველანი, ვისაც-კი გულზე მოჰიდებული აქვს საქმე წერა-კითხვის გავრცელებისა ჩვენს ქალაქში, ეცდებიან დახმარება აღმოუჩინონ ამ მშვენიერს განზრახვას ჩვენის ქალებისას.

*** დედათა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორს, ბ-ნ ალბოვს, თხოვნა მიუცია სასულიერო მთავრობისათვის, რომ ხსენებულს სასწავლებელს ნება ჰქონდეს გამართოს საკვირაო სკოლა, სადაც მაღალ კლასის შეგირდებმა უნდა ასწავლონ მსურველთ. ჩვენ შევიტყეთ, რომ სასულიერო მთავრობას ნება-რთვა მიუცია. ეს მით უფრო სასიამოვნო ამბავია, რომ საეპარქიო სასწავლებლის შეგირდი ქალები საქმით დახელოვნდებიან მასწავლებლობის ხელობაში.

*** ჩვენ მივიღეთ სამეურნეო საზოგადოების მიერ რუსულს ენაზე დაბეჭდილი წიგნი, შედგენილი აგრონომის ბ-ნ გეევსკის მიერ. წიგნსა ჰქვიან: **„Краткій очеркъ земледѣлія за Кавказомъ“**.

*** სამეგრელო: ქუთაისის ოლქის სასამართლომ უნდა გაარჩიოს ერთი ახირებული საქმე. ზუგდიდის მაზრის სოფ. ცელინჯიხის მცხოვრებმა, გლეხმა ნიკო გოსინავამ, ხელობით ხარაზმა, თურმე შარშან საბაჟო რევიზორად გამოაცხადა თავისი თავი. სოფ. კირცხას მამასახლისს უჩვენა რაღაც ბეჭედ-დაკრული ქაღალდი და უთხრა: მე ვარ აქციზის რევიზორიო. მამასახლისმა დაუჯერა, მისცა ცხენი და კაცი. გოსინავამ იარა სოფლად, ჩხრიკა ოჯახები, ეძებდა თუთუნსა დაწნულსა თუ დაუწნავსა, აშინებდა პატრონებსა «პროტოკოლი» უნდა შევადგინოვო, რომ ოც-და-ხუთი მანათი გადაგხდესო. შეშინებულნი აძლევდნენ ზოგი მანეთსა, ზოგი სამ მანეთს და ზოგი თუმანსაც. ეს ცრუ მოხელე მოიელის მრავალ სოფლებსა და მოაგროვებს ბლომად ფულსა. იქნება კიდევ ბევრხანს ეარნა და ეყვლიფა ხალხი, რომ უცაბედად, ნამდვილი საბაჟო მოხელე არ შეხვედროდა. მუხურის სოფლის მამასახლისთან მაზრის ბაჟის მოხელე მივიდა და ფოსტის ცხენები მოსთხოვა. მამასახლისმა უთხრა, რომ ცხენი სხვამ წაიყვანა და სოფლად დაიარება ბაჟის საქმეებზეო. ამას გაუკვირდა და მოინდომა იმისი ნახვა. ცრუ მოხელე დაატუსაღეს მაშინვე.

*** იქიდამვე: ქურდობას ჩვენში ახლა ზედ ემატება სახლის გატეხა და კაცის კვლა. სოფ. ჭოლაში ერთს მკითხავს მიუხდნენ—ბევრი ფული ექნებაო. სახლი გატეხეს და, როცა მკითხავის ქმარმა უთხრა მათთან ლაპარაკში—გიცანითო, მოჰკლეს იგი მაშინვე.

*** სოფ. დიდი-ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა): ჩვენ მოგახსენებდით ამას წინედ, რომ ჩვენი დიდი-ჯიხაიშის სკოლის მზრუნველად დანიშნულია თავადი ალექსადრე მერაბის ძე ჩხეიძე, რაზედაც განაჩენი წარდგენილი იყო დასამტკიცებლად. ეხლა-კი ის ჩვენი განაჩენი დამტკიცდა და მზრუნველობა მიიღო ბ-ნმა ჩხეიძემ. ეს გარემოება მას აცნობებს 17-ს ამ თვისას და კიდევაც მოვიდა სკოლაში. მზრუნველი მოელაპარაკა მასწავლებელს და ადგილობრივ წარმომადგენელთ შესახებ დედათა სკოლის გამართვისა; მან იკისრა ამ სკოლისათვის ადგილის ყიდვა თავის ხარჯით იქვე სკოლის გვერდით; აგრეთვე იკისრა სავაჟო სკოლისთვისაც საბალე ადგილისა და საჭირო ავეჯეულობის ყიდვა და დედათა სასწავლებლისათვის შენობის აგება. ეხლა ადგილის მეპატრონეებთან აქვთ საქმე.

აქ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის საქმეც გათავებული აქვთ, ასე რომ მსურველთ რიცხვი საკმარისია ამხანაგობის გამართვისათვის. სულ 25-ზედ მეტი უნდა იყოს, მგონი, როდესაც წესდების ძალით მარტო 20-საც შეუძლიან გაჰმართოს ამხანაგობა. ამ თავით ხალხი ცოტა მისთვის არის შეჩერებული, რომ დამაარსებელ წევრებმან 50 მან. უნდა შეიტანონ პირველად, რაიცა ცოტა არ იყოს საძნელოა, რადგანაც წელს ძლიერ მჭლე მოსავალია.

*** სოფ. საკირი: ახალციხის (მაზრა): სოფ. საკირისა და ტაძრისის მახლობელ ტყეში „სხანწარიაში“, ეს ორი კვირაა, გაჩნდნენ ავაზაკები, რომლებსაც ზედი-ზედ გაცარცვევს ორი საკირელი გლეხი. 5-ს ამთთვისას დახვედრიან ეს თულები იმავ ადგილას ორს ტაძრისელ კაცსა, ლექსოს და სოლო შავყულაშვილებსა, რომლებმაც მუშაობის შემდგომ გარეკეს მუშა ხარი ამ ტყეში საბალახოთა და უკანვე დაბრუნდნენ; სოლოს მოჰქონდა ჯაჭვები, ლექსოს კი სჭეროდა ცული; როცა მოუახლოვდნენ სოფელს, ასე ორის ვერსის მანძილზე, ცოტათი კიდეც შეუღამდათ; იმ დროს გზაში გამოსულიყვნენ ჩიგვებიდგან ორი თული და გაეძახნათ ქართულად: „გაჩერდით“? მაშინ ლექსოს შეეძახნა ამხანაგისათვის, მარჯვეთ იყავ, თულებიო? იმდროს ერთმანეთში რაღაცა თათრულად შელაპარაკდნენ და ბოლოს ერთმა თულმა დასცა თოფი ამ საწყალ ლექსოს და იქავე ძირს წააქცია ეს უბედური; ამხანაგმა დაილახა თუ არა თავისი ამხანაგის ძირსწაქცევა, დაჰყარა ძირს ჯაჭვები, და ენა ჩავარდნილი ძლივს ძლიობით ჩამოვარდა სოფელში და შეატყობინა ხალხსა ეს ამბავი; როცა შეიტყო სოფელმა ეს უბედურობა, შეიქნა სოფელში ერთი ვაება, ტირილი და ყვირილი, წავიდა ხალხი ამ დაჭრილ კაცთან, ზოგნი ხანჯლებით და ზოგნი ანთებულ კვრებით; ასე რომ იმ ღამეს თერთმეტ საათზედ მთელი სოფელი განათებული იყო კვრების შუქითა; გამწარებული დედა ამ დაჭრილის კაცისა ველარ შეიკავეს სახლში, და ფეხშიშველა, ტირილით გამოუდგა ხალხსა ტყეში თავისის უბედურის შვილის სანახავადა. წავიდნენ და ნახეს ეს უბედური შუა გზაზე დაგდებული და მთლად სისხლში გასვრილი; შეუკრეს საკაცე და ისე ჩამოიყვანეს ს. ტაძრისში; მივედით ყველანი და ენახეთ ეს საწყალი იმ ღამესვე; ცოტათი კიდე ლაპარაკობდა; საწყალმა სულ ოთხი საათი ძლივს-ღა გასძლო; ბევრი ველაპარაკეთ, მაგრამ ვერა გავიგეთ-რა, ვინ იყვნენ ეს თულები და საით გაიქცნენ. თუმცა გულდაგულ ეძებენ ავაზაკებს, მაგრამ ჯერ ჯეროზით ვერ აღმოუჩენიათ.

*** ამას წინედ ჩვენს დაბას ეწვივნენ უცხონი, რომელთაც წარმოდგენები ჰმართეს მთელი ერთი კვირა. 6 ოქტომბერს ითამაშეს ცხინვალის სკოლის სასარგებლოდ. ამბობენ, ხარჯს გარდა, შემოსავალი ოთხი თუმანი იყოვო.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-სა სწერენ, რომ ერთს დეპუტატს ბათუმის საქალაქო საქმეებისას რევიზიამ აღმოუჩინა გაფლანგვა 11 ათასის მანათისა, რის გამოც ის დეპუტატი დააპატიმრეს.

*** გაზ. „Нов. Вр.“ გვაცნობებს, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, ბ-ნმა ოსტროვსკიმ მიანდო ხვნა-თესვის დეპარტამენტს სწრაფი შედგენა პროექტისა მასზედ, თუ რა გვარი სკოლები უნდა გაიმართოს მევენახეობის ფეხზე-დასაყენებლად რუსეთსა და კავკასიაში. ამ თთვის გასულს უნდა მზად იყოს ეს პროექტი, რომ მალე შეუდგნენ სკოლების გამართვასო.

*** იმავ გაზეთის სიტყვათ, ეგზარხოსმა პავლემ, ქართლისა და კახეთის მთავარ-ეპისკოპოზმა, გაათავა საქმეები უწმინდესს სინოდში და მიიღო ახალი ეპარქია ყაზანისა. ხოლო პალადი, მთავარ-ეპისკოპოზი ყაზანისა და სვიაჟისა, დაინიშნა საქართველოს ეგზარხოსად.

**შეცდომის გასწორება**: კვირანდელს მეთაურში („ივერია № 211) მეორე გვერდის პირველ სვეტზე დაბეჭდილია: „გამოუკვლევლად“, უნდა იყოს: „გამოუკვლებლად“. იმავ გვერდის მეორე სვეტზედ დაბეჭდილია: „წარსულს საუკუნოებში“, უნდა იყოს: „წარსულს საუკუნეში“.

იქავ ფელეტონში პირველის გვერდის მესამე სვეტზედ ლექსში ორი უკანასკნელი სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: „ფარშავანგისა შვეენბას, ბუი კოტისა ბღვერასა“, უნდა იყოს: „ფარშავანგისა შვენებას, ბუკიოტისა ბღვერასა“.

## გლეხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ხიზაბავრაში (ჯავახეთში) იაკობ ლაზარაშვილის მიერ).

ქალი

შენ, ბიჭო, მაშინ სად იყავ,
მე ქალი ვიყავ თმოსანი?
ასეთი ქმარი მევირთე—
ლაღი, მოჯაშქრე, მგოსანი;
ხუთს შეჰკრავს შენისთანასა
ტიტველა, პერანგოსანი;
შეჰკრავს და წამოიკიდამს—
ვით მინდვრის ჩინჩხვაროსანი!..

სამჯერ მისცა კითხვა. მაშინ ანგელოზმა გააგებინა თავისი ვინაობა, მონათლა, სახელად „ამირანი“ დაარქვა, მისცა ხანგარი, დაუბარა ის პაჭში შეენახა და სანამ ძლიერ არ გასჭირებოდა, არსად ეხმარა. შემდეგ ანგელოზმა დალოცა ამირანი და უთხრა, რომ ქვეყანაზე (დედამიწაზე) შენი მომრევი არავინ იქნებაო, და დასტოვა. წყაროზე იამანის მეწყლეები (მულცა) მოვიდნენ, ამირანს აკვანში მწოლარეს დაცინვა დაუწყეს; ამირანს ეს ეწყინა, ადგა აკვნიდამ, თავები ერთმანეთს მიურახუნა, წყლის ჭურჭლები დაუმტვრია და ისე გაუშვა დამცინავნი. როდესაც ესენი უწყლოდ და ჭურჭელ დამტვრეულნი სახლში დაბრუნდენ, იამანს უამბეს, რაც წყაროზე შეემთხვათ. იამანს ამ ამბავზე გული მოუვიდა, ადგა და თვითონ წავიდა წყაროზე. აქ მან ნახა აკვანში მწოლარე ყმაწვილი, გაეხარდა, თქვა—ეს ჩემი შვილების უსიბისა და ბადრის ძმად გამოდგებაო; აიღო აკვნით ყმაწვილი და შინ მიიტანა. იამანის ცოლს გაეხარდა ყმაწვილის მოყვანა,—უსიბისა და ბადრის მომრწევად (მუჰვანე) გამომადგებაო. დღეს არაფერი, მეორე დილას იამანის ცოლი ძროხების მოსაწველად წავიდა; უსიბი და ბადრი აკვნებში ჩააწვინა, ამირანი შუაში ჩაუჯდინა; დაუბარა აკვნები ერწია კარგად, რომ მის შვილებს არ ეტირნათ და თუ რასაც მე გეუბნები—დაუმატა იამანის ცოლმა—კარგად არ აგისრულებია, ვაი შენს ყოფასაო. როდესაც დედა შვილებს გასცილდა, გულმოსულ ამირანმა უსიბის აკვანში სადგისი ნახა, აიღო და ერთი უსიბს სჩხვლიტა და მეორე ბადრის, ბავშვებმა ტირილი მორთეს. დედას გული მოუვიდა და დაუყვირა ამირანს: —ყველაფერი გამიწყდეს (მაგუვ ამშდახა), კარგად თუ არ გირწევია ჩემი შვილები, არ მოვიდე და შავი დღე არ დაგაყენო, ამას ჩემს შვილებს შენ-კი არა, დალის შვილი ამირანი ვერ გაუბედავსო. ამირანმა დაბალის ხმით წაიდუდუნა: ეჰ! ეხლა არა ვარ, თორემ ისე-კი დალის შვილი ამირანი ვარო. იამანის ცოლმა რომ ეს გაიგონა, ძროხების წველას თავი დაანება, გახარებული მივარდა ამირანს და დაჰკოცნა; მაშინვე რძეში დაბანა და „ქანთხის“ 5) ნაჭერში გახვია. ამ დღის შემდეგ ისე უვლიდა ამირანსაც, როგორც თავის საკუთარს შვილებს. იამანი და მისი ცოლი სიხარულით აღარ არიან, რომ ღმერთმა ამისთანა (ამირანასთანა) ძმა გამოუგზავნა მათს შვილებს. სამნივე ყმაწვილები წამოიზარდნენ; ჭაბუკობის (გმირობის) ჰასაკში მოვიდნენ. ყოველ ცისამარა დღეს გაელენ მინდვრად—ვისაც შეხვდებიან ზემოთ (აღმოსავლეთით) მიმავალს ან ქვემოთ (დასავლეთით) (ლეჟა ი ლეჟა მეზი), ყველას ლახვენ და ისე უშვებენ. გალახულები ახლოდამ ვერ უბედავენ და შორიდამ-კი შემოსძახებენ: —თქვენ თუ კარგი ჭაბუკები (გმირები) ხართ და კარგი ჭაბუკობა იცით, ჩვენ-კი ნუ გვლახავთ, მამი თქვენის, იამანის თვალს რა დაემართა, ის გაიგეთ. როდესაც ეს პირველად გაიგონეს, სამნივე იამანის ცოლთან მიიქცნენ და სთხოვეს ეთქვა მათთვის, თუ რა დაემართა იამანის თვალს. დედა პირველად არ უმჟღავნებდა შვილებს და ამირანს იამანის თვალის ამბავს და პირველს დაკითხვაზე ასე მიუგო: იამანს ყვავილი სჭირდა და იმან გაუფუჭა თვალი; სხვა, თქვენც არ მომიკვდეთ, იამანის თვალს არაფერი დამართოდესო. ორჯერ ამ ნაირი პასუხი მისცა დედამ, და მესამედ-კი, რომ გამოეტეხათ იგი, ამირანმა, უსიბმა და ბადრიმ შემდეგი ხერხი იხმარეს: მინდვრიდგან გულ-მოსულად დაბრუნებულთა იამანის ცოლს უთხრეს, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები გამოეცხო სამივესათვის. დედა ყაბულს გახდა. როდესაც დედამ პურები ნაღვერდალში ჩაყარა, ამირანმა და უსიბმა გამოიღეს ორი ცხელი პური, ერთი ერთს ძუძუზე მიადევს იამანის ცოლს და მეორე-მეორეზე და უთხრეს: ან გვითხარი იამანის თვალის ამბავი ნამდვილად, ანა და ძუძუებს დაგწვავთო. მეტი ღონე აღარ იყო, იამანის ცოლმა როგორც იყო საქმე, ისე მოუყვა. იამანს ერთი დევი (დავ) ჩაემტერა,—დაიწყო ქალმა—ბეგარა დაადვა. როდესაც უსიბი და ბადრი დაგვებადა, მოვიდა ეს დევი და ერთ-ერთი, ან უსიბი ან ბადრი ითხოვა; თუ ამათ ვერ შეელევითო, მაშინ იამანის მარჯვენა თვალი მინდაო. იამანმა შვილი ველარ გაიმეტა, მის მაგიერ თვალის მოთხრა არჩია და კიდევაც მისცა დევსო.

შვილებმა და ამირანმა, რომ ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე შეუდგნენ მომზადებას დევთან საბრძოლველად. იამანს სთხოვეს რკინის შვილდ-ისარი ეშოვნა მათთვის. იამანმა უშოვნა. გასინჯეს, მოიწიეს (ანგუზეხ), ამირანს ვერ გაუძლო და გაუტყდა. მაშინ ამირანმა ცხრა ოყა იშოვნა. თავის ხელით წაიღო მჭედელთან და გააჭედვინა. მეორე დღეს სამნივე წავიდნენ დევთან საბრძოლველად. იარეს, იარეს, შორს მინდორში ერთს დევს შეხვდენ; მას მშვენიერი სავაშლე ადგილი (ლაუსგე) აქვს და ვაშლის ხეების ქვეშ ჯოგი უწევს. დევმა რომ ესენი დაინახა, შესძახა: კარგი ჭაბუკები მაშინ იქმნებით, თუ ჩემს ვაშლის ხეებს ერთს ვაშლს ჩამოაგდებინებთ და მეორეს შეესვრითო. უსიბი და ბადრი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთი ვაშლი ვერ ჩამოაგდებინეს; ესროლა ამირანმა თავისი შვილდ-ისარი, ერთის მხრით ვაშლი სულ ჩამოყარა (ოხრუხნე), მეორეს მხრით შეაყარა. დევმა მეორეთ უთხრა:—თქვენ თუ კარგი ჭაბუკები ხართ, აბა სცადეთ, თუ ჩემის ჯოგიდგან ერთი ცხვარი ააყენოთ და მეორე დააწვინოთ თქვენს ნებაზე. უსიბმა და ბადრიმ ვერც ერთი ვერ შეიძლეს; ამირანმა კი ჯერ ააყენა მთელი ცხვრის ჯოგი და მერმე ისე მაგრად დასცა მიწას, რომ კინაღამ მთელი ჯოგი ამოწყვიტა. დევს ამაზე გული მოუვიდა, მოსდევა ჯოგს ხელი, ამირანიც შიგ მოიტანია და თავის სახლში შეყარა. კარები შიგნიდამ გამოხურა, უსიბი და ბადრი გარეთ დატოვა. ვახშმად დევმა ოთხი ცხვარი მოიხარშა; ხორცს თითონა სჭამდა; ძვლებს კი ზურგს უკან კუთხეში ჰყრიდა, სადაც

5) ქანთხი რაღაც წმიდა და სათუთი ქსოვილია.

ვაჟი.

ამა გორასა წისლსა ვკრავ,
იმა გორასა მკრას ვუზავ;
თორმეტსა ბათმანს რკინასა
კბილ ქვეშ შევიგდებ, გნატს ვუზავ;
ადიდებულსა დიდ-მტკვარსა
დავეწაფები ულაპს ვუზავ;
ამდენი საქმის მომქმედი
მე შენსა ქმარს-და რას ვუზავ?

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმის მაზრა:** ლეჩხუმის მაზრაში ორჯერ იმართება ხოლმე წელიწადში ბაზრობა, ერთი—მაისის პირველ რიცხვებში და მეორე ენკენისთვის ცამეტიდამ. მეორე გაცილებით სჯობია პირველსა, რადგანაც ვაჭრობის ვადაც მეტი აქვს პირველზედ და ხალხიც უფრო ბევრი იკრიბება. წელს-კი არ იყო ჩვეულებრივი ეკენობა (ცაგერის ბაზრობას ასე უწოდებენ აქაურები), ხალხიც ნაკლებად დაესწრო, და არც გარეშე ვაჭრები მოსულან, გარდა ერთი-ორისა. თოხოვესი საქონელი ძალიან იაფად ისყიდებოდა.

ვერაფერი სანუგეშო შემოდგომა დაუდგა წელს ლეჩხუმელებს; სიმინდის თესვა გოლვის გამო მეტად დაუგვიანდათ. ამის გამო სიმინდმა დამთავრება და დამწიფება ველარ მოასწრო; ზოგ მოესწრო სიცივემ და თრთვილმა, და უმეტესი ნაწილი ყანებისა დაუტაროებელი დარჩა. ამ თთვემ დაიყინა წვიმები, და რაც გარგოდა სიმინდი, ისიც ყანებში დაურჩათ აჭრილი. ვენახმა ხომ სულ უღალატათ; ისე გაათუჭა ნაცარმა, რომ მეხუთედიც ადარ მოვა იმისა, რასაც მოელოდენ. 24-ს ამ თთვეს მოულოდნელად მოვიდა თოვლი, რომელმაც სამ თითის დადებაზე დაჭვარა მიწა და დიდი ზარალი მისცა როგორც სიმინდის მოსავალს, ისე ვენახებს. ეს უგანასვნელი სულ ჩამოუშვა მიწაზე, ვაზები დაამტვრია და სხვა. მოხუცებულები ჰკვირობენ, რომ არ მოვსწრებივართ ამ გვარ წელიწადსაო. თოვლმა მეორე დღის სადამომდის გასტანა და შემდეგ-კი აიკრა ბარგი, მაგრამ რიდა დროს.

მგონად გაივლის ისეთი წელიწადი, რომ სვანეთის მთებზე გაყვანილმა გზებმა ორიოდე კაცი არ იმსხვერპლოს. მკითხველს იქნება არ დაუვიწყნია ის სამწუხარო შემთხვევა, რომელიც მოხდა შარშან ზამთარს მუშურის მთაზედ, სადაც ცხრა კაცი დაიღუპა თოვლის ზვავისაგან. ამბობენ, ვითომ წელსაც მოხდა ამ ნაირი უბედური შემთხვევა ლატფარის მთაზედ; სამი კაცი—ორი ოსი და ერთი სვანი—მთაზედ ასულან თუ არა, მოწყვეტილა ახლად მოსული თოვლი და სამივე დაურჩვია. თუ ეს ამბავი ნამდვილი გამოდგა, საჭიროა ყურადღება მიაქციონ იმასა, რომ თავისუფალ სვანეთში გზებზე ყოველ წელიწადს არ იღუპებოდეს ამდენი ადამიანი.

ჩვენს თავად-აზნაურობას უკვე მოუვიდა გუბერნატორისაგან ნება-რთვა კრების შედგენისა; როგორც მოგეხსენებათ, თავად-აზნაურობას ჰსურს მიჰმართოს თხოვნით ხელმწიფე იმპერატორს შესახებ მისა, რომ წოდებრივ ღირსების საქმე დაბოლოვდეს. ოთხს ოქტომბერს იქნება კრება და რა გარდაწყვეტილებას დაადგებიან, შემდეგ გაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

ქაიხოსრო გელოვანი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთს ყმაწვილ კაცს, რომელსაც ამ ოთხის წლის წინად ძალიან კარგად გაუთავებია კურსი გიმნაზიაში და მიუღია ოქროს მედალი, აი რას ამბობს ძველ ენების სწავლის შესახებ:

იძახიანო, რომ ძველ ბერძნებისა და რომაელების განათლების გაცნობასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ყმაწვილ-კაცობისათვის; იგი განათლება მეტად აფაქიზებს და აკეთილშობილებს მოსწავლეს სულსა და გულსა, კაცობას უნერგავს და ხასიათს უწვრთნისო. შეიძლება ეს ასეც იყოს იმათთვის, ვისაც მართლა უსწავლია და კარგად შეუგნია ძველი მწერლობა ბერძენთა და ლათინთა, მაგრამ ისე სწავლა-კი, როგორც ჩვენა ვსწავლობდით გიმნაზიაში, არავითარს სარგებლობას არ იძლევა. ჩვენ მარტო მშრალს გრამატიკას ჩავციებოდით და მხოლოდ იმაზედ გიმტვრევდით თავს, როგორ და რა შემთხვევაში უნდა გვეხმარა „აბლატივუს აბსოლუტუს“ და „აკუზატივუს კუმ ინფინიტივო“.

გრამატიკას კიდევ ვისწავლიდით და ხალისითაც ვისწავლიდით, რომ მისი საფუძველნი თვით ენის ცხოვრებასა და ლოღიკაზედა ყოფილიყვნენ დამყარებულნიო, ან რომ ესწავლებინათ, მაგალითად, ისა,—თუ ეხლანდელი ენები იმ ძველ ენებიდამ როგორ შეიცვალა და წარმოსდგაო.

მაგრამ სად იყო? ჩვენი გრამატიკა მეტად მშრალი, უგემურად დაწერილი კრება იყო საგრამატიკო კანონებისა და მერე ისეთის ენით დაწერილი, რომ სრულიად არა გვესმოდა-რაო. ცხადია, რომ ჩვენ ამის გამო არც გრამატიკა ვიცოდით, არც სხვა-და-სხვა თხზულებანი ბერძნებისა და რომაელებისა. ეს თხზულებანი გვეჯავრებოდა კიდეც, იმიტომ რომ ბევრჯელ გავუმწარებივართ და ბევრჯელ ცხარე ცრემლით ვუტირებივართ კიდეცა, მეტადრე მაშინ, როცა იმათის გულისთვის ცუდი ნიშანი და ბალი მიგვიღია.

რასაკვირველია, ყმაწვილი კაცი გულ-ჩრფელად ლაპარაკობს ამას ბერძნულისა და ლათინურის შესახებ. ამიტომ დასაჯერია მისი აზრი ამ საგანზე და დასაჯერია მით უმეტეს, რომ საბუთი არა ჰქონდა უსამართლოდ მოჰქცეოდა გიმნაზიას, რომელმაც ოქროს მედალით დააჯილდოვა, ბეჯითობისათვის. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბერძნულისა და ლათინურის სწავლა, რაც უნდა უსარგებლო იყოს ყმაწვილ-კაცობისათვის, თუნდა რომ მართლა

კლასიკებმა კურს-გათავების შემდეგ არც მითოლოგია იცოდნენ, არც ძველი ლიტერატურა, არც გრამატიკა,

მაინც გიმნაზიაში მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა მოვალეა მეტის ხალისით მოეპყრას ამ ენების სწავლას, რადგან მხოლოდ ამ გზით გაეღება კარი უმაღლესის სასწავლებლისა და ეს გარემოება ისეთი დიდი ღვთის-წყალობაა, რომ ამისათვის ღირს სიცოცხლის გამწარებაცა და ცხარე ცრემლების დაღვრაცა.

* *

ამ ერთის წლის წინად ტფილისში განიზრახეს სამღვთო წიგნების სამკითხველოს გამართვა. დღეს ეს სამკითხველო უკვე დაარსდა და რამდენიმე თთვეა კიდეც, რაც მოქმედობს. ერთი დამაარსებელთაგანი ამ სამღვთო სამკითხველოსი ბ-ნი მაქსიმ შარაძე სწერს გაზეთს „მწყემსში“, რომ ამ გვარის

წიგნთ საკითხავის დაარსება ტფილისში დღემდისაც საჭირო იყო. ქალაქის მოსამე ხალხი, როცა საქმეს რჩება, ტყუილ უბრალოდ ატარებს დროს. ასეთის ხალხისათვის საჭიროა ისეთი დაწესებულება, სადაც მას შეეძლოს უსასყიდლოდ საკითხავის წიგნების შოვნა და კითხვა, რომ თავისუფალ დროს მაინც იზრუნოს თავის სულზე.

ვინც იცის, რა მცირედ ზრუნავს ვინმე ჩვენში სხვისდა საკეთილოდ, რა ცოტანი არიან უსწავლელ, მდაბიო ხალხის გულშემატკივარნი და რა ძნელია საყოველთაო გულ-გრილობის დროს კეთილისა და სასარგებლო საქმის დაწყობა და განხორციელება, ის ჯეროვნად დააფასებს მხნეობას მაქსიმე შარაძისას და მის თანამოაზრეებისას.

დიდის ხნის ჩვენმა შრომამა და მეცადინეობამაო,—ამბობს ბ-ნი შარაძე,—არ ჩაგვიარა უქმად: როგორც იყო დავაარსეთ ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელშიაც ყოველ კაცს შეუძლიან იკითხოს ყოველ-გვარი სალმრთო წერილის წიგნები, მოისმინოს სხვა-და-სხვა სალმრთო მოძღვრებანი, შეისწავლოს საეკლესიო გალობა; ერთის სიტყვით, განათლდეს სულიერად, ამაღლდეს ზნეობითად და ყოველივე ამა სიამოვნებისათვის არ გადიხადოს არც ერთი გროში.

აი რა მაღალისა და დიდის ზნეობრივის აზრით გამსჭვალულნი ის დამაარსებელნი საკითხავისა, რომელნიც არც დიდის შეძლების პატრონები არიან და რომელთაც არამც თუ დიდი, მცირე განათლებაც-კი არ მიუღიათ!

გაიმართა თუ არა სამკითხველოვო,—უზაკველის სიხარულით და გულ-წრფელობით მოგვითხრობს მოთავე ამ საქმისა—ბლომად დაიწყო სიარული ხალხმა. სასიამოვნო სანახავია, როცა საკითხავში შემოდის ხალხი, უჯდება სტოლებს, იღებს ხელში ჯაჭვებით დაბმულ წიგნებს და კითხულობს გულ-მოდგინებით. ბოლოს საკითხავში მოსიარულეთა შორის ბევრნი აცხადებენ სურვილს ჩაეწერონ საკითხავის ძმობის წევრთა შორის. ჯერ-ჯერობით ესეც დიდი ნუგეშია ჩვენთვის.

თითო ორიოლანი დიდის თანაგრძნობით მოჰქცევიან ამ კეთილს საქმეს: ერთს 150 მან. შეუწირავს, სხვები დამფუძნებელ წევრად ჩაწერილან, ისე რომ იმედია ამ საქმეს საუკეთესო მერმისი და მომავალი მოელოდეს. ღმერთმა ინებოს.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის მმართებლობა ძალიან დაუფიქრებია მუშების საქმეს. სალისბერის სამინისტროს თითქო ძალიან ემარჯვება გარეშე საპოლიტიკო საქმეებში და შინაურს საქმეებს-კი ვერა სწვდება, ირლანდია ჯერ არ დამცხრალა და თვით ინგლისში დღითი-დღე მატულობს უკმაყოფილება მუშათა შორის, მუშებს თან-და-თან აკლდებათ სამუშაო, და ამიტომაც ქუჩებში ხშირად სხდიან უწესოება.

**მაროკკო.** ფეცაში, როგორც იუწყებიან, შეიკრება შერიფებისა და შეიხების კრება, რომელზედაც გადაუწყვეტიათ ის მემკვიდრე დასვან ტახტზე, თუ დღევანდელი სულთანი გარდაიცვალა, რომელსაც თვით სულთანი აირჩევს. ისპანიის მმართებლობის აზრით მაროკკოში დიდი არეულობა მოხდება. ისპანია ამ საქმეში საფრანგეთს მიემხრობაო, თუ ვინიცობაა, საქმეთა მსვლელობამ აიძულა და მაროკკოს საქმეებში მონაწილეობა მიაღებინა.

---

დაბმული ჰყავდა რკინის ჯაჭვით თავისი და. დაწოლის დროს დევმა თქვა, ამაღამის ვახშამი ეს იყოს, ხვალ ჩემი საუზმე ამირანი იქნებაო და კიდევაც დაწვა.

როცა დევმა დაიძინა, ამირანი დევის დაბმულ დასთან მივიდა, სთხოვა რაიმე ხერხი მასწავლეო, რომ დევი მოვკლაო. დევის დამ უთხრა, ჩემს ძმას სხვა არაფერი მოჰკლავს, თუ არ მისივე ხმალი, რომელიც ზეთში აქვს დალბობილი. ხმალი ისე მაგრად არის ჩადებული ზეთში, რომ მარტო შენ იმისი ამოძრობა არ შეგიძლია, მაგრამ ჩემს ძმას აქვს „წემაშ“-ი[6]); ჯერ შენ ის „წემაშ“-ი მომიტანე, ერთი მისი წვერი ხმალს მოაბი მაგრად, მეორე წვერზე მე მომაკიდინე ხელი, ორივე წამოვსწევთ და ხმალსაც ამოვიღებთ. როდესაც ხმალი ხელში მექმნება, მიდი ჩემს ძმასთან, მაგრამ არამც და არამც არ დაჰკრა ხმალი, მხოლოდ დაადევი კისერზე და თვითონ მოსჭრის კისერსა. ამასთანავე დევის დამ ქრისტე სთხოვა თავდებად (ქრისდეე თასდევებ[7]) ამირანს, რომ როცა დევს მოჰკლავდა, იგი ე. ი. და აეშვა და არაფერი ევნო. ამირანმა მისცა ქრისტე თავდებად, მონახა წემაში, მოაბა ხმალს, მეორე წვერი დევის დას მისცა ხელში; წამოსწიეს ორთავემ და დიდის გაჭირვებით ამოაძვრეს ხმალი ზეთიდგან. ამოძრობის დროს ხმალმა ისეთი ხმა გამოიღო, რომ დევს გამოეღვიძა, მაგრამ ისევ ჩაეძინა. ამირანმა ხმალი დევის კისერთან მიიტანა, დაადვა, ხმალმა უქნეველად დაუწყო კისერს ჭრა. შუამდი რომ ჩაჭრა, მარტო მაშინ იგრძნო დევმა, დაიწყო ფართხალი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ამ ნაირად ამირანმა დევი მოჰკლა. დამ განთავისუფლება სთხოვა ამირანს. განთავისუფლების მაგიერ მან კისერი მოსჭრა და ამ ნაირად გასტეხა ქრისტეს თავდებობა.

ამის შემდეგ დევის ყოფა-მოსახლობა (ლირდე-ლიზგე) ამირანს და მის ამხანაგებს დასჩათ. რისიც წაღება შეიძლებოდა—წაიღეს, რისიც არა—დასტოვეს და თვითონ გზად გასწიეს. იარეს, იარეს, ერთ ნაძვნარში შევიდნენ. აქ ერთი კლდეა, თავში დევი ზის და მატყლსა რთავს. ჩერიათ (თითისტარად) ნაძვის ხე აქვს, ჯარაიათ—დოლეპ—შირა (წისქვილის ქვა). ამ დევს წაელო იამანის თვალი. დევმა, რომ ამირანი და მისი ამხანაგები დაინახა, დაუძახა: ვილაც აქ სამი ბუზი მოდიხართ, უკან დაბრუნდით, თორემ თქვენს რბილსაც (ხორცს) შევსჭამ და ძვალსაც დავხრავო. ამირანმა მიუგო—შე პილწო, ჯერ სცადე ჩვენი შეჭმა და მერე დაიქადნეო. დევს გული მოუვიდა, როთავს თავი დაანება და კლდის ძირს ჩამოვიდა ამათთან საბრძოლველად. იბრძოლეს დიდხანს შეილდ-ისრით. ამირანი ერთს ისარს თავის წილად ახვედრებს დევს და ორს უსიბისა და ბადრის მაგიერ. ბოლოს ორივე მხრით დაიღალნენ. დევი[8]) ამირანს მიუახლოვდა, დააღო პირი და გადაყლაპა. უსიბი და ბადრი აქ მიატოვა; თვითონ თავის სახლში შევიდა. ეზოებში შესვლის დროს ბადრი დევს დაეწია და კუდი მოსჭრა. დევს სახლში შესვლისათანავე მუცელი ეტკინა: ვაჲმე, დედა, მუცელი მტკივა, ეუბნება დედას, მივარდება სვეტს, უხახუნებს მუცელს, უნდა ამითი გაიქარვოს მუცლის ტკივილი, მაგრამ სვეტზე ვერ მაგრდება, რადგანაც კუდი მოჭრილი აქვს და ძირს ბრაგვანი გააქვს. დედა რომ შვილის ამ გვარ წვალებას ხედავს, ეკითხება, ხომ არსად გინახავს დღესაო. დევმა მიუგო, რომ სამი ბუზი ენახე, ერთი კიდევაც ჩავყლაპეო.—ვაჲ შენს დედას, თუ სადმე დალის შვილი, ამირანი გადაგეყლაპოსო.

ამასობაში ბადრი და უსიბი დევის სახლის სარკმელს მოსდგომიან და დევის ლაპარაკი ყველაფერი ესმისთ. ამათ შემოსძახეს ამირანს:

ამირან ალამ ჩადამსა
მუხლსა ჩუგდვა ხანგარი;
აგს ალაგს დასძანებული (სარ)
დიდს მუცელს გვერდარშ.პისა;

შენ რომ პაიჭში ხანგარი გაქვს ჩარჭობილი, ამოიღე და უცხუნე (ლოხცუხვინ) დევს გვერდებში იქით-აქეთ“. ამირანმა ეს გაიგონა, თქვა თავის გულში, მართალი არ არისო, ამაზე უარესი გაჭირება როდის მომადგებაო; ამოიძრო ხანგარი და უცხუნა ფერდოებში დევს, დევმა ყვირილი მორთო, ოღონდ ნუ მომკლავ და გერჩიოს პირიდამ ამოგიშობ, გერჩიოს უკანიდამო. ამირანმა გაჯავრებით მიუგო, შე პილწო! ან შენი ამოწყვეტილი თავი რად მინდა ანა და უკნით გასულიო. აპა—უთხრა დევმა—გამოიღე ორი ძვალი გვერდისა და იქიდამ გამოდიო. ამირანმა მთელი გვერდი გამოულო და გამოვიდა; ერთი თვალი აკლდა. ეხლავე გამიკეთე თვალი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო, უთხრა ამირანმა. დევმა უთხრა, ცოტა ლვიძლს მომჭერი, ცოტა ფილტვებს, მოისვი თვალის ადგილას და უკეთესიც მოგებმება უწინდელზე. ამირანმა ბლომად (დიდარდ) ღვიძლს მოსჭრა, ბლომად ფილტვებსა, მოისვა თვალზე და მთელი თვალი დაუბრუნდა. შემდეგ დევმა სთხოვა გვერდი ისევ გაეკეთებინა. ამირანმა გვერდის მაგიერ ხის ჩელტი (ჰაბარ) მიუყენა[9]). ამას რომ მორჩნენ, ამირანმა დევს იამანის თვალი მოსთხოვა. დევს შეეზარა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა; უჩვენა სახლის სვეტი (ბოძი) და უთხრა, რომ მაგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში—კოლოფი და იმაშია შენახული იამანის თვალიო. ამირანმა მონახა თვალი. დევი აქ მიატოვეს და თვითონ სახლში დაბრუნდნენ, იამანს თვალი შეუყენეს და რამდენიმე ხანი დაისვენეს აქ.

(დასასრული შემდეგ)

---

[6]) წემაშ—ჯამბარა, თასმა მსხვილად გრეხილი.

[7]) ქრისდეე თასდევებ-ს იგეთივე მნიშვნელობა აქვს სვანეთში, როგორც პატიოსანს სიტყვას აქ. როგორც პატიოსანი კაცი პატიოსანს სიტყვას არ გადუდგება, ისე სვანი „ქრისდეე თასდევებ“-ს.

[8]) ვარიანტი:—დევ-ვეშაპი.

[9]) ამირანს რომ ჩელტი არ მიეყენა, ქვეყანა დაიღუპებოდა: როცა მზე ბნელდება—დევი (გველ-ვეშაპი) ჰყლაპავს. მზე ხის გვერდს მალე სწვავს და ისევ გამოდის ქვეყნის სანათებლად. ასე ამბობს ხალხი.

ჭფიქრობენ, რომ ამ საქმის გამო კონფერენცია შეიკრიბებაო. მადრიდის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ საჭიროა სახელმწიფოებმა უკანვე დაიბარონ თავ-თავიანთი გემები, რომლებიც მაროკკოს ახლო-მახლო დასცურავენ და უთვალთვალებენ სულთანის სამფლობელოს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მაროკკოს მმართებლობის თავ-მოუყვარეობას შეურაცხყოფა არ მივაყენოთო.

ბოლგარია. სტამბოლიდგან სწერენ გაზ. „Times"-ს—აქ მოელიან რუსეთის ელჩს, ნელიდოვს; ნელიდოვის მოსვლის შემდეგ წარედგინება სახელმწიფოებს პროექტი, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შეუდგენიათ ბოლგარიის საქმის შესახებ. დეპეშით იუწყებიან, რომ ნელიდოვი უკვე მოვიდა და თან მოიტანა ინსტრუქცია, რომელიც ბისმარკის თანხმობით არის შედგენილიო. ეს ინსტრუქცია იმის მაჩვენებელია, თუ როგორ უყურებს გერმანია ბოლგარიის საქმეს.

გერმანია. გერმანიის მმართებლობას მტკიცე განზრახვა აქვს შეიტანოს რეისსტაგში ახალი, მესამე კანონ-პროექტი დამოუნის ბაჟის მომატების შესახებ უცხო პურის ხორბალზე.

გერმანიის ელჩმა მიუნსტერმა ჩააბარა ფლურანსს შემდეგი ნოტა: „ბ-ნო მინისტრო! მას შემდეგ, რაც იმპერატორის მმართებლობამ გამოაცხადა თვისი მწუხარება იმ უბედურის შემთხვევის გამო, რომელიც რაონში მოჰხდა, და განაცხადა, რომ თანახმაა დაავმაყოფილოს ნივთიერად მაინც დაზიანებულნი, მაქვს პატივი გადმოგცეთ 50 ათასი მარკა. ვინ არიან დამნაშავე ამ საქმეში—სამხედრო პირნი თუ მოხელენი,—ამას გამოძიება აღმოაჩენს. მაინც-და-მაინც შეგვიძლია გსთქვათ, რომ ის ამბავი განზრახ არ მოუხდენიათ, არამედ იმის მიზეზი ისევ ჩვენი წესებია. ამიტომაც გერმანია ვალდებულადა სთვლის თავის თავს უზღოს ზარალი, რომელიც მიაყენა გერმანიამ საფრანგეთს თვისის კანონებისა და მოხელების წყალობით, და მოკლულის ბრინიონის სახლობას მისცეს საშუალება ცხოვრებისა. ამიტომაც საელჩო, ბრძანებისამებრ, წარუდგენს საფრანგეთის მმართებლობას ბრინიონის ქვრივისათვის კაპიტალს, რომელიც იმდენს სარგებელს მოიტანს, რამდენის მოპოვება შეეძლო ბრინიონსა!

## წვრილი ამბები

— საერთა-შორისო კრება, რომელიც დანიშნული იყო ამერიკაში წელს, გადაიდო და დაინიშნა ბერლინში 1890 წლისათვის.

— მოაგონდათ სწავლებისა და აღზრდის საქმის დიდი მცოდნე, პედაგოგების მამა-მთავარი პესტალოცცია. ივერდოუში ამ სახელოვანს პედაგოგს ძეგლის დადგმას უპირობენ.

— ხოლერის გამო მთელს ზამთარს დაკეტილი იქნება თეატრები პალერმოში, მესსინასა და კატანიაშიო.

— სუეზის არხში წელს 1 მკათათვემდე გაუვლია 1221 ინგლისის გემს, 87 საფრანგეთისას, 85 გერმანიისას, 61 ჰოლანდიისას, 49 იტალიისას, 43 ავსტრიისას, 12 ისპანიისას, 14 რუსეთისას, 17 ნორვეგიისას, 7 ოსმალეთისას, 4 პორტუგალიისას, 1 ჩინეთისას, 3 ამერიკისას და 1 ეგვიპტისას. სუეზის არხი ეგვიპტეშია და, როგორც ეტყობა, თხის პატრონს თხის კუდიც აღარ ჰრგებია.

— განუზრახავთ რომის ძველი ნაწილი შეუერთონ გვირაბით ახალს ნაწილს. გვირაბი იქმნება გათხრილი კვირინალის სერას ქვეშ. 1,800,000 ფრანკი გადაუდვია ამისათვის რომის ქალაქს.

— ბავარიის მეფე ოტტონი უგანასკნელს დღეშია თურმე. სულით ავადმყოფი მეფე ჩავარდნილა ლოგინად.

— ქურთის ქალი ყარა ფატმანი ამ დღეებში ხონთქართან ყოფილა სანახავად. ეს ის ყარა-ფატმანია, რომელიც ქურთების სარდალი იყო ყირიმის ომის დროს. ეს დედაკაცი 70 წლისაა, გვერდზე ხმალი აქვს გაკეთებული, გულზე დიდ ძალი ორდენები აქვს, ტანზე ბევრგან ატყვია ნახმლევი და ჭრილობანი. ოსმალეთის მთავრობა ყოველ წლივ პენსიას აძლევს გმირს ყარა-ფატმანს.

## დეპეშა

10 ოქტომბერი

მოსკოვი. დღეს სასამართლო პალატაში საქმის განხილვა დაიწყეს იმ ბოროტ-მოქმედებათა გამო, რომელიც ჩაუდენიათ ლებედინსკის საქალაქო ბანკში. სამართალში მიცემული იყო ათი კაცი. ერთი ამათგანი უკვე გარდაიცვალა. უნდა გაასამართლონ ცხრა კაცი: ბანკის დირექტორები, რომლებსაც დასდებიათ ბანკის ვალი—277,000 მან., იგუმნოვი და ჩურილინი; ესენი გამოცხადებულნი არიან უიმედო მოვალეებად; დირექტორების ამხანაგები: ა. პოპოვი, ნ. პოპოვი, ალფეროვი და ულანოვი; გორშკოვი და სტრელნიკოვი, რომლებიც წინედ ქალაქის თავებად ყოფილან, და ბანკის ბუჰალტერი რინდინი. სასამართლოს მხრით იქნება პროკურორის ამხანაგი გრამნიცკი, ხოლო ბრალდებულთა დაიცავენ ნაფიცი ვექილები: პლევაკო, პრჟევალსკი, მურატოვი და ულმანი. მოწამედ თხუთმეტი კაცია.

ბომბეი. როგორც ისმის, ეიუბხანი გასულა ბელუჯისტანში ავღანისტანის სამზღვრითა.

12 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ინსტრუქცია მამულის დაფასებისათვის იმ შემთხვევაში, როცა იგი მამული გირაოდ არის მისაღები იმის თამასუქად, რომ არაყზე ბაჟის გადასახადი ნაწილ-ნაწილ იქმნება შეტანილი.

ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი განმარტავს, რომ იმ დღიდამ, რა დღესაც მიღებული იქმნება ნომერი „კანონების კრებულისა", რომელშიაც დაბეჭდილია წესდება გერბის გადასახადისა, ყველა ხელ-წერილები ამ ვადამდე შეკრული ქალაქებში სახლის დაქირავების შესახებ უნდა ახალ ხელწერილით ჯეროვან გერბის ქაღალდზე დაწერილით შეიცვალოს, თუ ვინიცობაა სახლის პატრონმა და მდგმურმა მოინდომეს ხელწერილის განახლება და თუ სახლის ქირა წელიწადში 500 მანეთს აღემატება; იმ ხელ-წერილებზე-კი, რომელიც დაწერილია ამავე საგანზე და სახლის ქირაც 500 მანათზე ნაკლებია წელიწადში, 80 კაპიკიან გერბის მარკა უნდა დააკრან, იმავ ვადიდამ დაწყებული. ვინც ამ კანონის წინააღმდეგ მოიქცევა, სახლის პატრონი იქმნება, თუ მდგმური, გადახდება ჯარიმა გერბის გადასახადის წესდების მე-107 მუხლის თანხმად.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ შაქრის მწარმოებელთ ორ-ორი მაური პრემია უნდა გადაიხადონ იმ შაქრის ბაჟის გადასახადის დროსა, რომელიც მოუმზადებიათ 187⅞ წლის განმავლობაში, ესე იგი 1 სექტემბერს 1888 წლისასაო.

გამოცხადებულია, თუ ვინიცობაა შეცდომით აღრიცხეს სატამოჟნო გარდასახადი, საქონლის პატრონები ვალდებულნი არიან გადაიხადონ მათზედ დარჩენილი გადასახადიცა, უკეთუ უწყება ამ საგნის თაობაზე მოუვათ არა გვიან ორის წლისაო.

გაზეთები იუწყებიან, რომ 1-ს იანვრიდამ განზრახვა აქვთ მოუმატონ ბაჟსა სამზღვარ-გარეთელ სამეურნეო მაშინებზე და სხვა იარაღებზე 70 კაპეიკამდე. აგრეთვე უნდა მოუმატონ ბაჟს იმ საექიმო წამლებზე, რომლებიც სამზღვარგარეთიდამ შემოაქვთ, ცოცხალს მცენარეებზე, ფერად-ფერად ზამბახებსა და ნერგებზე.

პარიჟი. საფრანგეთსა და ინგლისსა შორის მორიგება ჩამოვარდა იმის თაობაზე, რომ სუეზის არხი ნეიტრალურ არხატ დარჩეს.

ბელგრადი. სერბია სჩივის იმასა, რომ არნაუტები თავს ესხმიან სერბიის მიწებსა. ამიტომაც სერბიას განზრახვა აქვს, თუ რომ ოსმალეთმა ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას, იმოქმედოს ისე, როგორც საჭიროება მოითხოვს, რათა დაიცვას სამზღვარზე მცხოვრებნი მკვიდრი სერბიისა. პასუხის მგებელი ოსმალეთი უნდა იყოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ოქტომბერს
ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 8 96 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | 273 |
| — მეორისა . . . . | — › | — › | 247¾ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | — › | 99 | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | 99½ | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | 83¾ | — › |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი
1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 ›
› 2 › 2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› › 2— 3½ ›
› › 3 › 3
ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 ›
› 2 › 6 ›
სუკი . . . . 13 ›
ცხვრის ხორცი . . . 7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. › ›
› 2 › › ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ-ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

ქართული სალიტერატურო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთსაკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

ნაფიცი ვექილი
სერგეი ვასილის ძე ჩემესოვი

გადავიდა არსენალის ქუჩაზედ, გორბუნოვის სახლებში, მე-66 №-ში, ძველის კრუჟოკის უკან. (6—6)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თეით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა
ს. მგალობლიშვილისა
I მცვრევაზე
II დიდ ზალაში
ფასი ორი შაური.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუეჲ, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯღანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუზარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 51 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 30 |

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების განცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისივე . . . . | „ | 10 |
| კონა, მისივე . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე . . . . | „ | 40 |
| დედანი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გად. ცახელისა. . . . . | „ | 20 |
| ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა. . . | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა . . | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . . | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა . | „ | 30 |
| ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით . . . . | 3 | „ |
| მეური სიტყვა . . . . . | „ | 20 |
| ნაკვესი . . . . . . . | „ | 20 |